პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 ივლისი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 176 (15693)

ვიმუშაოთ დღეს გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ!

უკრაინის სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 26 ივლისს კიევში გაიმართა უკრაინის სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა, თუ როგორ ასრულებენ უკრაინის მშრომელნი სახალხო-სამეურნეო გეგმას და 1973 წლისთვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებს.

კრების მონაწილენი უაღრესად გულითადად და გულთბილად მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გახსნა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით იგი გულთბილად და გულითადად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ყველამ ვიცით, თქვა ამხ. შჩერბიცკიმ, თუ რა ჭეშმარიტად ტიტანურ მუშაობას ეწევა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო თქვენი, ლენინდ ილიას-ძევ, ხელმძღვანელობით იმისათვის, რომ პარტია და ხალხი დარაზმონ საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ამის შედეგად დღითი დღე იზრდება და მტკიცდება ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური ძლიერება, მაღლდება მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, წარმატებით ხორციელდება საბჭოთა საშვიდობო პროგრამა, ვითარდება ჩვენი მეცნიერება და კულტურა, სულ უფრო შეძლებული და სულიერად მდიდარი ხდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

კრებაზე ვრცელი და მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

თავისი სიტყვის დასაწყისში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობა გადაუხადა კრების მონაწილეებს, აგრეთვე უველა კიეველს გულითადობისათვის, რომლითაც მას და მის თანმხლებ ამხანაგებს შეხვდნენ საბჭოთა უკრაინის დედაქალაქში. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა მან, რომ ამით უკრაინის მშრომელებმა გამოხატეს თავიანთი გულთბილი გრძნობები ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამხ. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელით მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა კრების მონაწილეებს.

ჩვენი პარტია, თქვა ამხ. ბრეჟნევმა, მმართველი პარტიაა და ეს ნიშნავს, რომ იგი დღენიადაგ თვალს უნდა ადევნებდეს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას უამრავ სხვადასხვა საკითხს. აქედან მთავარ საკითხებს, მთელი ჩვენი საქმიანობის მთავარ მიმართულებებს განსაზღვრავენ პარტიის ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებებს ახორციელებენ მთელი ქვეყნის მშრომელები პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუდმივი უურადღების საგანია უწინარეს ყოვლისა თვით პარტიის შინაგანი ცხოვრება. პარტიის XXIII ყრილობისა და განსაკუთრებით XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიის რიგები, გაუმჯობესდა მისი თვისებრივი შემადგენლობა, უწინარეს ყოველისა, გაზარდა პარტიის წევრ მუშათა პროცენტი. ამ წლების მანძილზე ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა პოლიტბიურომ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ პარტიის მუშაობის სტილი, წაეხალისებინათ პარტიული ორგანიზაციებისა და ცალკეული თვითეული კომუნისტის ინიციატივა, შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი.

ამხ. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი დიდი მებრძოლი რაზმი — უკრაინის კომუნისტური პარტია, რომელშიც ახლა თითქმის 2,5 მილიონი კომუნისტია. უკრაინის კომუნისტური პარტია მეტად ძლიერი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ურთულესი ამოცანები. მას, ისევე როგორც სხვა ჩვენი რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციებს, ხავსებით ენდობა სკკპ ცენტრალური კომიტეტი და თავის მხრივ იგი ჩვენი ლენინური პარტიის საერთო საქმის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის უსაზღვროდ ერთგულია.

ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა და პარტიისა და ხალხის მჭიდრო ორგანული კავშირი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელების გადამწყვეტი პირობაა.

ამხ. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი და პასუხსაგები როლი, რომელსაც ასრულებენ ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის საოლქო კომიტეტები, აგრეთვე რაიონული რგოლის მუშაკები — რაიკომების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სასწავლებლების პარტიული კომიტეტების, პირველად პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, რომლებსაც უშუალო და ყოველდღიური კონტაქტი აქვთ მასებთან და მასებში პარტიის პოლიტიკის გამტარებლები არიან.

სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა, განსაზღვრა თანამედროვე პირობებში პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. მთლიანად შეგვიძლია ეთქვათ, რომ ყრილობის მიერ დასახული პროგრამა წარმატებით ხორციელდება.

ბევრი რამ კეთდება ჩვენი სამშობლოს ეკონომიური პოტენციალის გადიდებისათვის. წლითიწლობით იზრდება სამრეწველო წარმოება, ხორციელდება მნიშვნელოვანი და ფართოდ მოფიქრებული ღონისძიებანი, რათა საბჭოთა ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ სახარგებლო წიაღისეულის დიდი რესურსები, რომლებიც უხვად აქვს ჩვენს ქვეყანას. თუმცა პარტიის XXIV ყრილობის მიერ დამტკიცებული გეგმები დაძაბული იყო, მაგრამ საბჭოთა ადამიანების ბეჯითი შრომის შედეგად ისინი ძირითადად წარმატებით სრულდება.

ამხ. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ათვისებას, და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მთელ ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაშიც, არის გარკვეული ნაკლოვანებანი. ამისათვის, რომ წარმატებით ავითვისოთ გეგმის შესაბამისად გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მთელი თანხა, რომელიც 501 მილიარდ მანეთს შეადგენს, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ წინათ სახელმწიფოს არასოდეს არ გაუღია ამ მიზნებისათვის ასეთი თანხა, აუცილებელია კომუნისტებისა და უველა მშრომელის დიდი აქტივობა, შეჯიბრების წარმატებით გაშლა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მტკიცე გადაწყვეტილება შეავასრულოთ პარტიის მიერ დასახული გეგმები.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, — თქვა ამხ. ბრეჟნევმა, — განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკა ამ დარგში, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე და მომდევნო ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში. სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მმართველებანი, რომლებსაც ეს პოლიტიკა ითვალისწინებს, შემდეგია: მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მეთესლეობის სწორად წარმართვა, მელიორაცია, მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენება, მექანიზაციის დონის ამაღლება, და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფისა. და მორალური სტიმულირების სწორად წარმართვა. დასახული კურსის განხორციელებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტთა სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილია უდიდესი კაპიტალდაბანდებანი. უნდა შეგვეძლოს მათი გონივრულად გამოყენება, რათა ახალი დიდი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი სოფლის მეურნეობის მყარი აღმავლობის გზაზე.

ამისათვის ჩვენში ბევრი რამ კეთდება. თუ პარტიის XXIV ყრილობის მუშაობის დროისათვის ჩვენ წელიწადში ვაწარმოებდით მხოლოდ 55 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს, წელს მიზნად დავიხსახეთ ვაწარმოოთ თითქმის 72 მილიონი ტონა სასუქები თანაც მაღალხარისხოვანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში უკვე ფართოდ გაიშალა სამელიორაციო სამუშაოები. ისინი წარმოებს უკრაინასა და სხვა რესპუბლიკებში. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ვოლგისპირეთში საირიგაციო სამუშაოთა კომპლექსურ ეგზამენ, რომლის შესრულება მოგვცემს საშუალებას მრავალი მილიონი ჰექტარი ჩინებული მიწები გადავაქცეთ უხვი მოსავლის გარანტირებულ წყაროდ. შუა აზიის რესპუბლიკებში მელიორაცია გახდა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ამ ბოლო წლებში მოგვეწია ბამბის რეკორდული მოსავალი.

რა თქმა უნდა, სამელიორაციო სამუშაოთა კაპიტალური შესრულება დიდ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი დანახარჯები მთლიანად ნაზღაურდება.

ამ ბოლო წლებში ბევრი შრომა და სახსრები დაიხარჯა ჩვენს ქვეყანაში ბრინჯის წარმოების გაფართოებისათვის. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს რთული ამოცანა წარმატებით სრულდება.

ამხ. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ ღონისძიებათა იმ პროგრამის შესრულებას, რომელიც XXIV ყრილობამ დასახა, საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და კულტურის დონის ამაღლების კურსს. ამ მხრივ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა მთელ რიგ კატეგორიათა მშრომელების მინიმალური ხელფასის დონის ამაღლება, კოლმეურნეთათვის პენსიების დაწესება, სხვა ჯგუფების მოკალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის გადიდება, წარმოებაში დასაქმებული ქალებისათვის მთელი რიგი სოციალური შეღავათების მიცემა და სხვ. პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობამ დასახა.

შემდეგ ამხ. ბრეჟნევი შეეხო პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, სახალხო განათლებისა და კადრებთან მუშაობის საკითხებს. ზრუნვა კომუნისტებისა და უპარტიოების, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის, კულტურული დონისა და პოლიტიკური შეგნების ამაღლებისათვის, თქვა მან, ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენ დიდ უურადღებას ვუთმობთ თვით პარტიის კადრების მომზადებასაც. სხვადასხვა პარტიული სკოლისა და პარტიული მუშაკების — მარტიული კომიტეტების, პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მდივნების გადასამზადებელი კურსების ფართოდ განვითარებული ქსელი კარგი დასმარებაა ჩვენი კადრებისათვის. პარტიულ მუშაკთა ასეთ სწავლებას კვლავაც განვაგრძობთ.

დიდ მიღწევად მიგვაჩნია ჩვენი მუშათა კლასის ზოგად საგანმანათლებლო დონის მუდმივი ამაღლება. ეს დროის ნიშანია, კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია.

მეტად საჭიროა პარტიის სწორი პოლიტიკა კადრების დარგში, სწორი დამოკიდებულება კადრებისადმი ყველა უბანზე. ჩვენ ვესესწრაფვით იმას, რომ ყველგან, მზრუნველობით, ყურადღებითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ მუშაკებს, ამასთან იჩენდნენ მაღალ მოთხოვნილებას შეხამებით. კარგი, სამართლიანი დამოკიდებულება მუშაკისადმი — ეს ალბათ, საუკეთესო სტიმულია მუშაობაში. მაგრამ არ უნდა ვივიწყებდეთ მომთხოვნელობასაც.

ძალიან ცუდია, თუ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრები სტაბილური არ არის, ხშირად იცვლება. უნდა შევეცადოთ არ დავუშვათ ეს. მაგრამ უარესია, თუ თავის პოსტზე დადგანან არიან ადამიანები, რომლებიც ცუდად მუშაობენ, თავს ვერ ართმევენ მოვალეობებს. ასეთმა მუშაკმა ადგილი უნდა დაუთმოს უფრო მომზადებულ, უფრო ნიჭიერ, უფრო ენერგიულ მუშაკს, უკეთეს სპეციალისტსა და ორგანიზატორს. ამას მოითხოვს საქმის ინტერესები. ამასთანავე საჭიროა რაც შეიძლება სათუთად მოვეკიდოთ კარგ, კეთილსინდისიერ, სასარგებლო მუშაკებს.

თავისი გამოსვლის ამ ნაწილის დასასრულს ამხ. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უველა ჩვენს წარმატებაში, პარტიის მიერ დასახული გეგმების შესრულებაში გადამწყვეტი როლი ენიჭებათ მშრომელთა ფართო მასებს — — კომუნისტებსა და უპარტიოებს, მუშათა კლასს, გლეხობას, ინტელიგენციას. მათი თავდადებული შემოქმედებითი შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი მიღწევები კომუნიზმის მშენებლობაში.

ამხ. ბრეჟნევი თავის სიტყვაში შეეხო საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს. მშვიდობის დაცვა, სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის ხაზი ერთმანეთის საშინაო საქმეებში სრული ჩაურევლობის პირობებში — ეს ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის დროიდან არის ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრული კურსი, — თქვა მან. სამწუხაროდ, მთელი რიგი ომები, რომლებიც გააჩაღეს იმპერიალისტმა აგრესორებმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ „ცივი ომი“, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ დაიწყეს იმ იმედით, რომ ახალგაზრდა იზოლაციაში მოექცევიან და შეიარაღებენ სოციალიზმის სამყაროს, — ყოველივე ეს არაერთხელ ქმნიდა სერიოზულ დაბრკოლებებს ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის გზაზე. აგრესიული იმპერიალისტური წრეები შეგნებულად მიმართავდნენ „ცივ ომს“, რათა ნერვიული დაძაბულობა გაეღვივებინათ საბჭოთა ადამიანებსა, ჩვენს სოციალისტურ ძმებსა და მოკავშირეებს შორის. იმედი ჰქონდათ, რომ დაგვაშინებდნენ ატომური შანტაჟისა და სამხედრო ბლოკების, სამხედრო ბაზების მთელი სისტემის შექმნის მეთხებით. მათ სურდათ პერმანენტულად ვყოლოდით „ომის ზღვარზე“. საჭირო გახდა მაგარი ნერვები, რომ ასეთ ვითარებაში განგვეგრძო მშვიდობიანი მშენებლობა და შეგვენარჩუნებინა ერთგულება მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისადმი. ჩვენი ნერვები საკმაოდ მაგარი აღმოჩნდა. ვარშავის თავდაცვითი ხელშეკრულებით მოკავშირეებთან ერთად მოგვიდა შეგვექმნა ისეთი თავდაცვითი ძალიერება, რათა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შეეგნოთ, რომ მუქარის ენით ჩვენთან ლაპარაკი არ შეიძლება, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს „ლაპარაკი ძალის პოზიციიდან“, ანუ, როგორც თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლიანობის ენით.

ახლა არა მარტო ფართო საზოგადოებრივი წრეები, არამედ დიდი ბურჟუაზიული სახელმწიფოთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელებიც კი აღიარებენ, რომ ამბიციულია „საბჭოთა სამხედრო მუქარის“ შესახებ და უპერსპექტივოა ჩვენთან სამხედრო კონფრონტაციის კურსი. ჩვენს ლენინურ ხაზს მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, კერძოდ, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამას ახლა უველგან გაგებითა და პატივისცემით ეკიდებიან. ჩვენს სახელმწიფოსთან ახლა სწორედ ამ საუფლელზე აწარმოებენ მოლაპარაკებას და დებენ დიდმნიშვნელოვან შეთანხმებებს. მშვიდობა ჩვენს დროში უფრო მტკიცე გახდა, საბჭოეთის ავტორიტეტი კი უმაგალითოდ გაიზარდა.

ყოველივე ეს წარმოადგენს ჩვენი პოლიტიკის დიდ გამარჯვებას. ეს არის ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, მისი თავდაცვის განმტკიცებისათვის პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი მუშაობის შედეგი, საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორი, პატიოსანი კურსისა და ჩვენს სოციალისტურ მეგობრებთან და მოკავშირეებთან ძმური თანამშრომლობის, აგრეთვე ათობით სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან კარგი ურთიერთგაგებისა და ურთიერთმოქმედების შედეგი.

სწორედ ამას მოწმობს ის, რომ ამ ბოლო წლებში განვითარდა ჩვენი ურთიერთობა ბოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, აგრეთვე შემობრუნება, რომელიც მოხდა ჩვენს ურთიერთობაში ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის წარმატებული განვითარება, სრულიად ევროპის თათბირის მუშაობის დაწყება. საბჭოთა კავშირსა და უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის დაიდო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობის განმტკიცებასა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებისთვისაც.

მშვიდობის პროგრამის ბევრი პუნქტი არსებითად უკვე შესრულდა ან სრულდება. სხვა პუნქტებზე ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოგვიწევს.

ამხ. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ფართო და ხანგრძლივ ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას სოციალიზმის ქვეყნებთან და კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. ამოცანაზე, რომ უზრუნველყონ სრულიად ევროპის თანთბირის წარმატება, რათა განმტკიცდეს ევროპაში მუარი შშვიდობის საფუძვლები.

საგარეო-პოლიტიკურ საქმეებში ჩვენი შემდგომი წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია, ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა მომძე სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ჩვენი საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია, შეთანხმებული მოქმედება. ამას ჩვენი პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

დასასრულ ამხ. ბრეჟნევმა კიდევ ერთხელ მიულოცა უკრაინის სს რესპუბლიკის კომუნისტებსა და უკრაინის კომპარტიის ხელმძღვანელებს დიდი მიღწევები რესპუბლიკის განვითარებაში.

ყოველივე ზემოთქმულმა, შენიშნა მან, არ უნდა დაგვაკმაყოფილოს ნაკლოვანებანი მუშაობაში და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საკითხია. ნაკლოვანებანი კი ყველახა გვაქვს, მათ შორის უკრაინასაც, მაგალითად, ხამრეწველო პროდუქციის დაბალი ხარისხი, მხუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების ნელი ტემპი და სხვ. უკრაინელ კომუნისტებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ შეუძლიათ გადაწყვიტონ დიდი და რთული საკითხები. სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ისინი წარმატებით გადაწყვეტენ ამ ამოცანებსაც.

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. ხშირად გაისმოდა მქუხარე ხანგრძლივი ტაში.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებების, სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის. მიმდინარე წელი აღინიშნა განსაკუთრებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მასობრივი ენთუზიაზმით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო და საშინაო პოლიტიკის ისტორიული გამარჯვებანი აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს, ძალასა და ენერგიას მატებენ მათ.

ჩვენი რესპუბლიკის მიერ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოპოვებული წარმატებანი უნდა გახდეს შემდგომი შრომითი შემოქმედებითი აღმავლობის, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფართო გაქანების სტიმული.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პარფაკავშირული და კომკავშირული მუშაკები, საწარმოთა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერები.

პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

დაამტკიცეს დღის წესრიგი:

1. 1973 წლის პირველ ნახევარში სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგებისა და პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ.

2. პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მიმდინარეობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

3. მოხსენება პლენუმებს შორის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გ. გილაშვილი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შტატგარეშე მდივანი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალი ზ. გ. სარალიძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. თხილაიშვილი, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსი მ. ა. ციხარიშვილი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შ. მ. თათარაშვილი, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, მწერალი გ. კ. ნატროშვილი, თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ნ. ი. როდომანიანეკო, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ა. მეძმარიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ხ. ბარციცი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ლ. ი. სადუნაშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ე. მ. ნატროშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ფირანიშვილი, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. დურგარიანი, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ვ. ი. მელქაძე.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კიევიდან გაემგზავრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი 27 ივლისს კიევიდან ყირიმს გაემგზავრა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ვ. ცუკანოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი.

ბორისპოლის აეროპორტში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ნ. ნურიევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის დაზღვევის მინისტრმა გ. ს. ზოლოტუხინმა, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ს. გრუშეცკიმ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ლაპაროვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, კიევის ოლქისა და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. (საკდესი).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ჩავიდა ყირიმში

სიმფეროპოლი, 27 ივლისი. (საკდესი). დღეს ყირიმში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

სიმფეროპოლის აეროპორტში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ო. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. კ. კირჩენკო და სხვა ოფიციალური პირნი.

შეჯიბრების მოწინავე

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ 285 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ

სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორს, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ მძღოლს დონარა მახარაძეს კარგად იცნობენ მახარაძის რაიონში. დონარა, რაიონის მეჩაიეთა შორის ერთ-ერთი პირველი მიუჯდა „საქართველოს“ საჭეს, დაეუფლა ამ რთული მანქანის მართვის ხელოვნებას. იგი ყოველწლიურად ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მაღალ მოსავალს იღებს. მიმდინარე სეზონში დ. მახარაძემ ვალდებულება აიღო ექვსმეტკერიანი ნაკვეთიდან მიიღოს 26 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმაზე 4 ტონით მეტი. მიმდინარე წლის მოსავლის აღების პირველივე დღიდან დონარამ მაღალი ტემპი აიღო. ჩაის ფოთლის აღების ყოველდღიური დავალებას გადამეტებით ასრულებს.

სურათზე: მეჩაიე-მექანიზატორი დონარა მახარაძე.

ი. ნანიკაშვილის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

საინტერესო გამოცდილება

ДАМЗАЛЕЦ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს ფართოდ გაეშუქონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობა რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გზიგადესა და ფერმებში, ყოველმხრივ გაუწიონ პროპაგანდა წარმოების მოწინავეთა — ნოვატორთა გამოცდილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებიდან.

СОВЕТСКАЯ КУБАНЬ
Орган Краснодарского краевого комитета КПСС и краевого Совета депутатов трудящихся

სტუმრად „კომუნისტის“ ფურცლებზე

სოფლის მშრომელთა ტრიბუნა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა დასახმარებლად

ასე ამშენებენ ყუბანელები

ყუბანელი საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მშენებლები გამოცდილებას უზიარებენ ქართველ კოლეგებს

ა. ნოვიცკი,

კრასნოდარის საკოლმეურნეობათაშორისო საშენებლო ორგანიზაციების გამზარეო გაერთიანების საბჭოს თავჯდომარე.

ზრდობის ფერმები 2,6 მილიონი ფრთა ქათმისათვის, პურის საწყობები 297 ათასი ტონისათვის, მინერალური სასუქების შესანახი საწყობები 88 ათასი ტონისათვის; აშენდა სკოლები 55 ათასი მოსწავლისათვის, საავადმყოფოები 3 ათასი ადგილით, გაკეთდა 1.400 კილომეტრი საავტომობილო გზები.

მეცხრე ხუთწლედში უფრო დიდი გეგმები გვაქვს დასახული. ხუთწლიანი გეგმით უნდა აშენდეს: 141 საკოლმეურნეობათაშორისო მექანიზებული კომპლექსური ფერმა, — 9 საკოლმეურნეობათაშორისო კომბინირებული საკვების ქარხანა, უნდა გაფაფართოვდეს და გავაძლიერეთ 6 ათასი ჰექტარი საძოვრები. უნდა გაგიყვანოთ 1.725 კილომეტრი საავტომობილო გზები. უნდა ავაშენოთ და რეკონსტრუქცია გავუკეთოთ მსხვილფეხა პირუტყვისა და ფრინველეობის 2.000 ფერმას. ავაშენებთ 386 პირუტყვის საკვებშესამზადებელ საამქროს. აშენდება სკოლები 40 ათასი მოსწავლისათვის, კლუბები და კულტურის სახლები 25 ათასი ადგილით, საავადმყოფოები — 1,8 ათასი საწოლით.

ხუთწლედში საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 682 მილიონ მანეთს შეადგენს. აქედან 590 მილიონი მოდის კოლეგეურნეობებზე. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში იყო.

ხუთწლიანი გეგმები კარგახანია დაყვანილია ყოველ სამშენებლო ორგანიზაციამდე და მშენებლობაც მთელი ფრონტით არის გაჩაღებული. ყველა ძირეულმა კოლექტივმა იცის, თუ რა როგორ და როდის უნდა გააკეთოს.

ახალ ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება გადიდდება 42 პროცენტით, სამშენებლო ორგანიზაციების შესაძლებლობა — 1,7-ჯერ. მატერიალური რესურსების კონცენტრაციის შედეგად, ერთ სამუშაო მოედანზე შესრულებული სამუშაო გაორკეცდება, რაც საშუალებას გვაძლევს ეფექტურად გამოვიყენოთ კოლმეურნეობათა საშუალებანი. სამშენებლო სამუშაოთა 60 პროცენტი შესრულდება ასაწყობი კონსტრუქციებით.

მიმდინარე ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში 2.200 სხვადასხვა სამშენებლო ობიექტზე მიმდინარეობდა მუშაობა და წარმატებით შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. შესრულდა 243 მილიონი მანეთის სამუშაოები, ანუ 18 მილიონით იმაზე მეტი, რაც ხუთწლიანი გეგმით პირველ ორ წელიწადში იყო გათვალისწინებული, ნაცვლად 456 ათასი სულისა 474 სულისათვის აშენდა მეცხოველეობის ფერმები. ავამოქმედეთ კომბინირებული საკვების ორი ქარხანა, საფრინველეები 1,3 მილიონი ფრთისათვის, კოლმეურნეობებს გადაეცეთ 976 ჰექტარი სარწყავი საძოვრები. განვლილ ორ წელიწადში შრომის ნაყოფიერება ნაცვლად 16,3 პროცენტისა გადიდდა 17,3 პროცენტით; შემცირდა საწარმოო ხარჯები, მიღებულია დიდძალი ზეგეგმითი მოგება. ორ წელიწადში სამრეწველო ეკონომიური ეფექტიანობა 6 მილიონი მანეთი უნდა ყოფილიყო, შეკატიურად ხუთწლედის ყოლაგამი საფასურის სახით შეტანილია 8,5 მილიონი მანეთი.

დიდი ამოცანები გვაქვს დასახული ხუთწლედის მეექვსე წელს. წელს ვალდებულებითი 137 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეასრულოთ. გათვალისწინებულია აშენდეს 1.200 სხვადასხვა სახის ობიექტი. მათ შორის მეცხოველეობის სადგომები 160 ათასი სულისათვის, აქედან 4 ათასი სულისათვის გეგმის გადამეტებით. ფრინველის ფერმები აშენდება 830 ათასი ფრთისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცემა კომბინირებული საკვების ორი საკოლმეურნეობათაშორისო ქარხანა ოტრადნაია და კრიმსკაიას რაიონებში, აგრეთვე 95 საკვებშესამზადებელი საამქრო, გაჯუფტურულდება 2.000 ჰექტარი სანაყოფიერებ. ნაყოფიერება ნაცვლად 5 პროცენტისა, გადიდდება 6 პროცენტით. მრეწველობის მუშაკთა ვალდებულებაა წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 600 ათასი მანეთის პროდუქცია.

სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოთა დაგეგმვის ახალ სისტემაზე და ეკონომიურ სტიმულირებაზე გადასვლასთან დაკავშირებით წლიური გეგმა შესრულდება მაღალხარისხოვნად და მცირე ხარჯებით, თვითღირებულების შემცირების ხარჯზე გეგმის გადამეტებით მივიღეთ 600 ათას მანეთ მოგებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე მთელი ძალით გაჩაღდა სოციშეჯიბრება. სოციშეჯიბრებაში ჩაება ყველა საწარმო და ორგანიზაცია. კრასნოდარის მხარის გაერთიანება სოციშეჯიბრებაში ჩაება სტავროპოლის მხარისა და როსტოვის ოლქის თანამოსაქმეებთან. გაერთიანების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ძალღონის დაუზოგავად შრომობენ სოციშეჯიბრების ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოძებნისათვის, მისი ქმედითობისათვის. ამან თავისი შედეგები გამოიღო. საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების 96,5 პროცენტმა მიიღო კარგი და ფრიადი შეფასება. მათ შორის არის ეისკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მიერ აშენებული „ლენინის გზისა“ და ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმები, ტიმოშევსკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მიერ აშენებული პირუტყვის სასუქი ბაზა-კომპლექსი და სხვ.

სრულიად საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში საუკეთესო ხარისხის მშენებლობისათვის, რომელიც გამოაცხადეს სსრ კავშირის სახმშენმა და საკავშირო პროფსაბჭომ, ჩვენმა მშენებლებმაც მიიღეს მონაწილეობა. დიპლომები დაბისსაურეს ლაბინსკის, დინსკის, გულკევიჩის სამშენებლო ორგანიზაციებმა, 5 ბრიგადა დაჯილდოდა სიგელით.

ჩვენთან, კრასნოდარის მხარეში, დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს სტუდენტი-ახალგაზრდების სამშენებლო რგოლებმა. შარშან ზაფხულში ათმა რგოლმა 933 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს. მათი საქმიანობა წელს არდადეგების პერიოდში უფრო გაცხოველდა.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი ნახევარი გაერთიანების სამშენებლო ორგანიზაციებმა და საწარმოებმა წარმატებით დაამთავრეს. აშენდა 78 ათასი სული მხსილფეხა რძიანი პირუტყვის ტავადობის სადგომები ნაცვლად 72 ათასი სულისა, საფრინველეები — 424 ათასი ფრთისათვის ნაცვლად 354 ათასი ფრთისა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ მშენებლობებზე ერთნახევარჯერ მეტი სამუშაო შესრულდა. გადამეტებით შესრულდა აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, გზების მშენებლობისა და პროდუქციის გამოშვების გეგმები. საერთოდ გაერთიანების ორგანიზაციებმა და საწარმოებმა მთელი წლის გეგმის 49,6 პროცენტი პირველ ნახევარში შეასრულეს. გეგმით კი 47 პროცენტის სამუშაოთა შესრულება იყო გათვალისწინებული.

მეცხოველეობის მშენებლობანი ჩვენთან ყველაზე მოთავრია. მათ პირველ რიგში ვამარაგებთ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. აქ მუშაობენ ყველაზე საუკეთესო მშენებლები, აქ არის სწორედ გაერთიანების სოციალისტური შეჯიბრების ცენტრი. ენერგიული შრომის მაგალითს გვიჩვენებს ტბილისკაიას რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაცია. კოლმეურნეობა „კავკაზში“ შენდება საკოლმეურნეობათაშორისო საკვებშესამზადებელი კომპლექსი. საკვებშესამზადებელი საამქრო დღეღამეში 50 ტონა საკვებს გადაამუშავებს, შენდება სასილოსე ტრანშეები, სახვნელი კოშკები, ვიტამინის ფქვილის საამქრო. ამ კომპლექსისათვის აქვე აშენდა უხეში საკვების გამამდიდრებელი ქლორელას საამქრო. ახლა ამ კომპლექსზე მთელი ძალით არის გაჩაღებული შრომა. ბევრი საამქრო წელსვე გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ასეთი ორგანიზაციები კრასნოდარის მხარეში ბევრია.

მშენებლობაში ვიყენებთ ნ. ზლობინის ბრიგადის მეთოდს. შარშან 33 ბრიგადა მუშაობდა მისი მეთოდით. 14 ბრიგადამ წარმატებით დაამთავრა სამუშაოები და 23 ათასი მანეთი მოგება მოგვცა. წელს 60 ბრიგადა მუშაობს ზლობინის მეთოდით.

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მართვის სრულყოფისათვის ჩვენ ვახორციელებთ მთელ რიგ დემოკრატიულ ღონისძიებებს. მეპპიე კოლმეურნეობების მონაწილეობა სამუშაოებში კარგი და სასარგებლო საქმეა. ჩვენთან დროზე და რეგულარულად ტარდება ყრილობები და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლთა კრებები, გაერთიანებების საბჭოს სხდომები, სადაც ფართოდ მონაწილეობენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ ის საშუალებანი, რომლებიც გამოყო სახელმწიფომ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის. ესენია სამშენებლო მასალები, მოწყობილობანი, კრედიტები და, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს საკუთარი მასალები, ფინანსური და შრომითი რესურსები.

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები კოლმეურნეობებში სამუშაოთა ძირითადი შემსრულებელია. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ და ნამდვილა, მაგრამ ჩვენი მშენებლებისაგან კოლმეურნეობები უფრო მეტს მოელიან. ამიტომ ჩვენ ვეძებთ, წარმოებაში ვნერგავთ ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

სამშენებლო უბნები — ეს არის კოლმეურნეობებში სამშენებლო საქმის კიდევ ერთი ახალი ფორმა. აი როგორ ვახორციელებთ ამას. კოლმეურნეობა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციასთან ხელშეკრულების საფუძველზე სამშენებლო უბანზე გზავნის კოლმეურნე მშენებლებს, რომლებიც მუშაობენ თავიანთივე კოლმეურნეობის სამშენებლო ობიექტებზე. უბანს კოლმეურნეობა უწევს სხვა სახის დახმარებასაც — გამოუყოფს ტრანსპორტს. საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია უბანს უწევს ტექნიკურ ხელმძღვანელობას, უზრუნველყოფს სამშენებლო ტექნიკით, კონსტრუქციებითა და მასალებით. კოლმეურნეები, რომლებიც ამ უბნებზე წავიდნენ სამუშაოდ, ისევ რჩებიან თავიანთი კოლმეურნეობის წევრებად, სარგებლობენ კოლმეურნეობის წევრის ყველა სიკეთით.

ამ სამშენებლო უბნებმა მოკლე დროში დიდი აღიარება მოიპოვეს. უბნები შექმნილია ჩვენი მხარის 80 კოლმეურნეობაში, სადაც მუშაობს 2.200 კოლმეურნე-მშენებელი. შარშან ამ უბნებმა 22 მილიონი მანეთის სამუშაოები შესრულეს. ზოგიერთი ასეთი სამშენებლო უბანი წელიწადში 500 ათას მანეთზე მეტ სამუშაოს ასრულებს. ისეთები კი, როგორიც კორენოვსკაიას რაიონის კიროვის სახელობის, კრასნოარმეისკაიას რაიონის კოლმეურნეობა „როსიას“ სამშენებლო უბნებია, თვითეული ერთ წელიწადში მილიონი მანეთის. სამუშაოებს ასრულებენ. მომავალში უფრო მეტი მილიონი მანეთის. სამუშაოებს ასრულებენ. მომავალში მშენებლობის ეს ფორმა უფრო გაფართოვდება, უფრო მეტ კოლმეურნეობებში შეიქმნება სამშენებლო უბნები, ვინაიდან ეს ფორმა სასარგებლოა, მომგებიანია.

სტარომინსკაიას, დინსკის, ტიხორეცკის, კურგანინსკის, უსტ-ლაბინსკის, შირინინოვსკაიას, კორენოვსკაიას რაიონების საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობა მოსაწონია და ქებას იმსახურებს. მათ აქვთ თავიანთი სამშენებლო მასალები, ფინანსურად ძლიერნი არიან და მათ მიერ შესრულებული სამუშაო ყოველთვის მაღალხარისხოვანია.

კრასნოდარის მხარეში დიდი გაქანება მიეცა სოფლების კეთილმოწყობასა და გზების მშენებლობას. მხარის მეტწილ რაიონებში მუშაობს ასფალტის ქარხნები, რომლებიც სასოფლო გზებისათვის აწარმოებენ ასფალტს. ამჟამად სხვა რაიონებშიც შენდება ასეთი ქარხნები. ეს საშუალებას გვაძლევს საკუთარი ძალებით, იაფად ვაშენოთ გზები.

გარდა გზებისა, გაერთიანების საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები სოფლებში ბევრ სხვა საშუალოსაც ასრულებენ. ჩვენი მშენებლები სოფლად ასრულებენ სამელიორაციო სამუშაოებს, სოფლების გაზიფიკაციას, ტელეფონიზაციას, ელექტრიფიკაციას და სხვ.. ასე რომ ჩვენი მშენებლები მხარის სოფლის მშრომელებს ეხმარებიან არა მარტო პროდუქტების სიუხვის საქმეში, არამედ ზრუნავენ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვისაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ მშენებლობას ძირითადად ჩვენსავე საწარმოებში დამზადებული მასალებითა და მოწყობილობით ვაწარმოებთ. ეს პატარა საქმე როდია. სახელმწიფო ფონდებზე, რა თქმა უნდა, დამოკიდებული ვართ, მაგრამ ეს ვადამწყვეტი არ არის. ჩვენთვის საჭირო მასალებს ძირითადად ჩვენვე ვამზადებთ. ასე რომ ამ მხრივ მშენებლობა არ ფერხდება. ეს კი დიდი საქმეა მშენებლებისათვის. მაგალითად ხე-ტყეს ვამზადებთ უმთავრესად ჩვენი ჩრდილოეთის მეზობელი ოლქების და კრასნოდარის მხარის ტყეებში. აქ შექმნილი გვაქვს 16 საკუთარი სატყეო წარმოება. ასეთი საწარმოებს მომავალში უფრო მეტს შევქმნით, რაც უფრო გაიაფებს ხე-ტყეს.

აგურსაც ჩვენი საწარმოები ამზადებენ. გვაქვს 14 აგურის ქარხანა. თვითეული წელიწადში 10 მილიონ ცალ აგურს აწარმოებს. ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, მაგრამ ამ მხრივ შეფერხებები არა გვაქვს: ახლო მომავალში უფრო მეტი აგურის ქარხანა აშენდება და ამასთან წლის ყოველ დროს გამოფენებით აგურს. ეს საშუალებას მოგვცემს მთლიანად ვაშენოთ ჩვენივე აგურით. ერთი კი უნდა აღვნიშნო სინანულით, რომ ხე-ტყეს და აგური ჯერ კიდევ ძვირი გვიჯდება. აგურისა და ხე-ტყის თვითღირებულება სახელმწიფოს მიერ წარმოებულთან შედარებით საგრძნობლად მეტია. მომავალი წლიდან ფასების ეს სხვაობა აღარ იქნება, რაც უფრო გაიაფებს მშენებლობას, თუ ჩვენი ქართველი კოლეგებიც აწარმოებენ ამ მასალებს, ვურჩევთ კოლდასმით იფიქრონ ამ საკითხზე და აღშენონ ისეთი საწარმოები, რომლებიც მექანიზებული იქნება და იაფ პროდუქციას გამოუშვებს.

ჩვენ ვაწარმოთო აგრეთვე რკინაბეტონის ნაწარმს, ფანჯრისა და კარის ბლოკებს, კერამიტს და სხვ. გვაქვს საკუთარი ცემენტის ქარხნები. წელიწადში 200.000 ტონა ცემენტს ვაწარმოებთ. აქედან ნახევარს ვაძლევთ კოლმეურნეობებს, ხოლო ნახევარს ჩვენს მშენებლობაზე ვიყენებთ.

მხოლოდ მაღალი მარკის ცემენტს ვაძლევს სახელმწიფო. ეს, ეფიქრობთ, დიდი საქმეა. როცა მშენიერლებს საკუთარი წარმოების ცემენტი აქვთ, ცხადია, საშენებლო სამუშაოთა შეფერხებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

სახელმწიფო ფონდებიდან ვიღებთ მხოლოდ ლითონს, შიფერს, მინას, ნაწილობრივ ცემენტს, საწვავს და დანადგარებს.

ყველაზე დიდია გულკევიჩის საკოლმეურნეობათაშორისო კომბინატი, რომელიც წელიწადში 600 შენობისათვის ამზადებს რკინაბეტონისა და ხის ნაკეთობებს. ქ. ყირიმში გვაქვს კერამზიტის და რკინაბეტონის პანელის ქარხნები. ისინი ძირითადად გვამარაგებენ საკედლე კონსტრუქციებით. კერამზიტბეტონი საშუალებას გვაძლევს ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 პროცენტით შევამციროთ. ამიტომ ამ წარმოებას დიდ ყურადღებას ვაქცევთ.

საკუთარ საწარმოებს მკაცრ კონტროლს ვუწევთ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ წუნდებული პროდუქცია გამოეშვათ. ამიტომ არის, რომ ჩვენი მშენებლობები შეუფერხებლად მარაგდებიან მაღალხარისხოვანი სამშენებლო მასალებითა და კონსტრუქციებით. ეს საშუალებას გვაძლევს 10 თვეში ავაშენოთ ისა თუ ის ობიექტი. ჩვენ ახლა შევიმუშავეთ მშენებლობის ახალი მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ობიექტები სამკესლოატაციოდ გადავცეთ 8 თვეში.

რამდენიმე მაგალითით მინდა მოგითხროთ იმაზე, თუ ჩვენს მიერ აშენებული საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტები რა სიმძლავრისაა, რათა წარმოდგენა გქონდეთ მშენებლობათა სიდიდეზე.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პირუტყვის სასუქ კომპლექსებს ზემდგომი პარტიული და სამეურნეო ორგანოების გადაწყვეტილებით ვაშენებთ შაქრის ქარხნებთან. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან შაქრის ქარხნების ანარჩენი ძვირფასი საკვებია და შორ მანძილზე გადატანა რომ არ დაგვჭირდეს, სასუქ კომპლექსებს ამ ქარხნების ახლოს ვაშენებთ.

ტიმაშევსკაიას რაიონში, შაქრის ქარხნის ახლოს ავაშენეთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო გამოსაკვები ბაზა. აქ ყოველწლიურად მიპაიე კოლმეურნეობების 25.000 სული პირუტყვი სახელმწიფოსათვის ჩაბარებამდე სუქდება. რა საგრეხლობას ეოუღლობს რაიონი ამ ბაზიდან? აი რას ამბობს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბაგმუტი: უკანასკნელ ოთხ წელიწადში ჩასაბარებელი პირუტყვი ამ ბაზაში იკვებება. ხორცკომბინატებს უკანასკნელი ნაკვებობის პირუტყვს ვაბარებთ. ამ ოთხ წელიწადში მოგებამ ორი მილიონი მანეთი შეადგინა.

ასეთივე მოგებას იღებენ სხვა კოლმეურნეობებიც. კომბინატში ავაშენეთ მხარის ჩვიდმეტ შაქრის ქარხანასთან, სადაც ერთდროულად 85 ათასი სული პირუტყვი იკვებება. ტიმაშევსკაიაშივე ჩქარი ტემპით ვაშენებთ მეღორეობის კომპლექსს 108 ათასი ღორისათვის. აქედან ყოველწლიურად ხორცკომბინატებში გაიგზავნება 12 ათასი ტონა ღორის ხორცი.

კრასნოარმეისკაიას რაიონის კოლმეურნეობა „როსიაში“ აშენდა მეფრინველეობის გიგანტი. ფაბრიკა ყოველწლიურად აწარმოებს 5 მილიონ კვერცხსა და 1.800 ცენტნერ ქათმის ხორცს. ამ ფაბრიკაში ყველა სამუშაო ავტომატიზებულია. მოწყობილობათა მუშაობას თვალყურს ადევნებს მხოლოდ ერთი კაცი.

სწორედ ამიტომ არის, რომ კრასნოდარის მხარეში უკანასკნელ წლებში მწვანე ჭაბ დავუთმეთ საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტების მშენებლობას. ეს მომგებიანიც არის, სასარგებლოც და იქ შრომაც სახალისოა, ვინაიდან სამუშაოთა დიდ უმეტესობას მანქანები ასრულებენ. მსხვილ კომპლექსებს აშენებენ საბჭოთა მეურნეობებიც. მეცხრე ხუთწლედში სულ ყუბანში აშენდება მეცხოველეობის 917 დიდი კომპლექსი. მათ შორის არის 102 მსხვილფეხა პირუტყვისათვის, 398 — მირძეული პირუტყვისათვის, 224 — მეღორეობისათვის, 140 — ფრინველის ხორცისათვის, 54 — კვერცხის წარმოებისათვის. ამ კომპლექსების დამთავრების შემდეგ მათგან სახელმწიფო წელიწადში მიიღებს 229 ათას ტონა რძეს, 167 ათას ტონა ღორის ხორცს, 51 ათას ტონა ძროხის ხორცს, 337 მილიონ ცალ კვერცხს და 23 ათას ტონა ქათმის ხორცს.

ასე რომ ჩვენი საქმიანობა, საკმაო წლების გამოცდილება გვეკარნახებს, რომ საკოლმეურნეობათაშორისო დიდი კომპლექსების მშენებლობას ფართო გაქანება უნდა მიეცეს. ვფიქრობთ — ჩვენი ქართველი კოლეგები ამ საკითხებით დაინტერესდებიან. ხოლო ჩვენ მზად ვართ ადგილზე ჩვენთან უფრო კონკრეტულად გავაცნოთ მუშაობის ის მეთოდები, რომლებიც ჩვენმა მშენებლებმა ბოლო წლებში შეიმუშავეს.



ხურათზე: ნოვოროსიეისკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მიერ აშენებული ვერხნი ბაკანსკის საკოლმეურნეობათაშორისო ცემენტის ქარხანა.

ვ. ბაბალოვის ფოტო.



